

808.03
3-416

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ქეთევან ბეზარაშვილი

რიტორიკისა და თარგმანის თეორია და
პრაქტიკა

ბრიგოლ ღვთისმეტყველის თხოულებათა ქართული
თარგმანების მიხედვით

10.01.04 ბიზანტინისტიკა-ნეოელინისტიკა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2004

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილებაში

ოფიციალური ოპონენტები: ნელი მახარაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
დამანა მელიქიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მანია რაფავა
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წლის 29 დეკემბერს 13 ოქტ. თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს (P 10.03 №5) სხდომაზე

მისამართი: 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 13

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 11)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2004 წლის 19 დეკემბერს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. მკვლელიძე

37-78-08 ქიქია მკვლელიძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ქართულად ნათარგმნი ბიზანტიური ლიტერატურა და თარგმანის მეთოდები ყოველთვის იყო შესწავლის საგანი ქართულ მეცნიერებაში. უკანასკნელ დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა IV საუკუნის უდიდესი ბერძენი ღვთისმეტყველის, ორაგორისა და პოეტის გრიგოლ ნაზიანზელის (ღვთისმეტყველის) შემოქმედების შესწავლას. ყურადღება გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, გრიგოლ ღვთისმეტყველის შემოქმედების შესწავლის ინტენსივობით საერთაშორისო პროგრამის მიხედვით (პროფ. ბ. კულისა და პროფ. ი. მოსეის ხელმძღვანელობით), ხოლო მეორე მხრივ, მისი თხზულებების ქართული თარგმანების შესწავლის აუცილებლობით (აკად. ე. მეგრეველის ხელმძღვანელობით). ორივე მიზეზით უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მრავალი შრომა შეიქმნა გრიგოლ ღვთისმეტყველის პოემის (ქ. ბეზარაშვილი), მის პოშილიებზე დართული კომენტარების (თ. ოთხმეზური), მისი პოშილიების და ეპისტოლეების ქართული თარგმანების შესახებ (ხელნაწერთა აღწერილობა - თ. ბრეგვაძე, ანონიმური თარგმანები მრავალთავებში - მ. რაფავა, ნ. მელიქიშვილი; გრიგოლ ოშკელის თარგმანები - მ. რაფავა; დავით გბელის თარგმანები - მ. მაჭავარიანი; ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის თარგმანები - ც. ქურციკიძე, ქ. ბეზარაშვილი, მ. რაფავა, ნ. მელიქიშვილი, თ. ოთხმეზური, თ. მარჯიანი, ე. ჭელიძე; გელათური სკოლის ანონიმური თარგმანი - ე. ჭელიძე). გამოვლინდა ამ თარგმანებთან დაკავშირებული მრავალი ახალი საკითხი: კრიტიკული ტექსტების დადგენა და პუბლიკაცია (სერიით Corpus Christianorum, Corpus Nazianzenum), ამ თარგმანების ადგილი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა მრავალრიცხოვან უცხოენოვან თარგმანებს შორის, მათი შემცველი კრებულების აგებულება და მისთ. ქართული მეცნიერების მიღწევების ამ მკვიდრ საფუძველზე და გრიგოლისა და მისი ეპოქის შესახებ არსებული უცხოენოვანი ლიტერატურის გათვალისწინებით წამოიჭრა თავად გრიგოლ ღვთისმეტყველის შემოქმედების და მისი თარგმანების კულტურული და სტილისტური მახასიათებლების შესწავლის აუცილებლობა და შესაძლებელი გახდა კვლევის გაღრმავება ამ მიმართულებით. შესწავლილ იქნა წმ. გრიგოლისა და მისი კომენტატორების (ძირითადად მიქაელ ფსელოსის და ეფრემ მცირის, დამხმარე სახით ბასილი მინიმუსის) თეორიული მოსაზრებები და მათი პრაქტიკული გამოვლენის მაგალითები ბერძულ-ქართულ ტექსტებში, ქართული საღვთისმეტყველო სკოლების მიერ გამოვლენილი კულტურული ორიენტაციის გენდენციები აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით და მისთ. (ქ. ბეზარაშვილი; ბასილი მინიმუსის კომენტართა სრული ანალიზისათვის იხ. თ. ოთხმეზური).

საკვლევ თემად არჩეულ იქნა მთარგმნელობით მეთოდებთან ერთად რიგორიკის თეორიისა და გექნიკის საკითხები ორიგინალში და თარგმანებში (ძირითადად ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის თარგმანების მიხედვით). ამდენად, აღნიშნული პრობლემატიკა აქტუალურია როგორც

